



ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №32

2016 წელი 17 ივნისი
ქ. ამბროლაური

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებისა და წინასაარჩევნო კამპანიისათვის შენობა-ნაგებობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის, „საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები:

ა) ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძები.

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ მდებარე ღამის განათების ბოძები - მათზე მიწის ზემოთ არანაკლებ სამი მეტრის სიმაღლეზე გადასაჭიმი ბანერების შემთხვევაში, დამონტაჟებულ კვანძებიდან, სადენებიდან და სხვა ელექტრომოწყობილობიდან არანაკლებ ერთი მეტრის დაშორებით;

გ) იმ შენობების შემოსაზღვრულ ღობეებზე, რომელშიც განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მმართველობაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. (კოსტავას ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტების ღობე).

2. ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

3. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება (საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერისა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

4. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) განისაზღვროს:

ა) ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ქალაქ ამბროლაურის კულტურის

ცენტრის შენობაში არსებული დარბაზი (ქ.ამბროლაური კოსტავას ქუჩა N36)

ბ) ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ქალაქ ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის შენობაში არსებული დარბაზი (ქ.ამბროლაური რუსთაველის ქუჩა N2.)

5.დაევალოს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია

გამოქვეყნოს ადგილობრივი ბეჭდით ორგანოებში და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6.განკარგულება გადაეგზავნოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

7.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში, კოსტავას ქ. №13.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ასლან საგანელიძე